საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482211793**
თარიღი: **27/04/2022**
პინი: **8097**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54- ე მუხლის, პირველი პუნქტის ,,ბ. ა'' ქვეპუნქტის თანახმად, გიდგენთ წყალტუბოს მუნიცპალიტეტის მერის 2022 წლის პირველი კვარტლის ანგარიშს.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

მუნიციპალიტეტის მერის

საანგარიშო პერიოდი - **2022** წლის I კვარტალი

ანგარიშის ტიპი - რიგითი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების შესაბამისად, 2022 წლის I კვარტლის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალი სტრუქტურული ერთეულები აქტიური მუშაობით ატარებდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთიანი ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებისთვის. მერის მიერ სისტემატურად ხორციელდებოდა 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამების, პროექტების შემუშავების სამუშაოთა კოორდინაცია და მათი შესრულების კონტროლი. გატარდა რიგი ღონისძიებები შეჭირვებული მოსახლეობის დახმარების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილება ხორციელდებოდა მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების; საფინანსო - საბიუჯეტო; ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის; სივრცითი მოწყობის, ინფასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის; ზედამხედველობის; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა; სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის; შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურების მეშვეობით.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების 2022 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში სულ შემოვიდა-1178-წერილი და 1936- განცხადება, გაიგზავნა- 1299 წერილი და მომზადდა 1141 ბრძანება. მომზადდა 6 საჯარო ინფორმაცია. გაგზავნილი იქნა 242 საფოსტო გზავნილი.

ბიუჯეტი დამტკიცდა 20 116,3 ათასი ლარის ოდენობით. 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში 2022 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 3 754,8 ათასი ლოარით.

მიმდინარე წლის I კვარტალში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით, რაც ძირითადად განპირობებული იყო რეგიონალური განვითარების ფონდიდან თანხის გამოყოფით, ბიუჯეტი გაიზარდა 11 499,8 ათასი ლარით და შეადგინა 31 616,1 ათასი ლარი.

2022 წლის I კვარტალში ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 5 231,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ხარჯმა შეადგინა 6536,1 ათასი ლარი.

აღსანიშნავია ,რომ ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელებიდან პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურის განვითარება - დახარჯულია 2 939,8 ათასი ლარი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები შეიძლება დავაჯგუფოთ ერთჯერად ფულად დახმარებებად, თანხა გამოიყო თავშესაფრის გარეშე დარჩენილთათვის, ასევე, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებისათვის. კერძოდ:

სოციალურად შეჭირვებულ 115 ოჯახს შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველძე გამოეყოთ თანხა 250 ლარის ოდენობით; შესაბამისი ერთჯერადი ფულადი დახმარება გადაეცა 403 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლს და ჩერნობილის აფეთქების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილე 14 პირს, ცერებრალური დამბლით დაავადებულ 77 მოქალაქეს. პროგრამით გათვალისწინებული ჯანმრთელობის პრობლემის მქონე 169 პირს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 44 ბავშვს, 31 მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონეს, თავშესაფრის გარეშე დარჩენილ 18 მოქალაქეს. ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე 3 მოქალაქე უზრუნველყოფილ იქნა დროებითი საცხოვრებლის ქირით. დახმარება გაიცა ორ ობოლ ბავშვსა და ას წელს გადაცილებულ 3 პიროვნებაზე. 339 მოქალაქეს დაერიცხა თანადაფინანსების თანხა გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციებისათვის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით

განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები. გათვალისწინებული იქნა გენდერული ბალანსის დაცვა ნებისმიერ პროექტთან მიმართებით. დაიგეგმა და განხორციელდა მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების მხარდაჭერის აქციები. მომზადების პროცესშია საგრანტო პროგრამა ქალბატონებისათვის უპირატესი უფლებების გათვალისწინებით.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურისსაქმისწარმოების

განყოფილების მიერ 2022 წლის

პირველ კვარტალში გაწეული სამუშაოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილების 2022 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში განხილული იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული და გასული კორესპოდენციები მათ შორის:

1. დამუშავდა (დოკუმენტების რეგისტრაციაში გატარება, რეზოლუციისათვის მომზადება, ადრესატებისათვის გადაცემა) 1936- განცხადება და 1178- წერილი.

2. იურიდიულ და ფიზიკურ პირებს გაეგზავნა 1299- წერილი.

3. მერიაში შემოსული და გასული დოკუმენტაცია დამუშავებული იქნა ელექტრონულად და დაარქივდა მასალები ფაილების შესაბამისად.

4. დამუშავდა და შესაბამის პაკეტში დაარქივდა ჩამოწერილი დოკუმენტები.

5. გაგზავნილი იქნა 242 საფოსტო გზავნილი.

6. 2022 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში ცვლილებების შესაბამისად ახლდებოდა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურა.

7. მომზადდა 6 საჯარო ინფორმაცია.

8. მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მიღება-დამისამართება მოთხოვნათა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიხედვით.

2022 წლის პირველ კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში სულ შემოვიდა-1178-წერილი და 1936- განცხადება, გაიგზავნა- 1299 წერილი და მომზადდა 1141 ბრძანება.

კერძოდ:

| № | შემოსული დოკუმენტები | იანვარი | თებერვალი | მარტი | პირველი კვარტალი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | **წ ე რ ი ლ ე ბ ი:** | **353** | **358** | **467** | **1178** | |
| | მთავრობის კანცელარიიდან | 3 | 2 | 3 | 8 | |
| | პრემიერ მინისტრისგან | - | - | - | - | |
| | პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან | - | - | - | - | |
| | საქართველოს პარლამენტიდან | 4 | 4 | 2 | 10 | |
| | რწმუნებულის აპარატიდან | 15 | 35 | 36 | 86 | |
| | სამინისტროდან | 9 | 5 | 9 | 23 | |
| | საკრებულო | 32 | 19 | 31 | 82 | |
| | სხა დანარჩენი | 290 | 292 | 386 | 968 | |
| 2 | გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი: | 521 | 765 | 650 | 1936 | |
| | მთავრობის კანცელარიიდან | - | - | - | - | |
| | პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან | - | - | - | - | |
| | საქართველოს პარლამენტიდან | - | - | - | - | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სახელმწიფო რწმუნებულის აპარატიდან | - | - | - | - | |
| | სხვადასხვა სამინისტროდან | - | - | - | - | |
| | საკრებულოდან | - | - | - | - | |
| | პირადად მოქალაქეებისგან | 521 | 765 | 650 | 1936 | |
| | კოლექტიური განცხადება | - | - | - | - | |
| 3 | **სულ მერიიდან გაიგზავნა წერილი** | **328** | **433** | **538** | **1299** | |
| | საფოსტო გზავნილი | **53** | **67** | **122** | **242** | |
| | მომზადდა ბრძანება | **320** | **358** | **463** | **1141** | |

2022 წლის პირველი კვარტლის პერიოდში სულ მომზადდა-1141 ნორმატიული აქტი, მათ შორის: მივლინების შესახებ -12, შვებულების შესახებ-59, შვებულების გადატანის შესახებ -0, სამსახურში დანიშვნის შესახებ-2, სამსახურეობრივი ურთიეთობის შეჩერების,შესახებ-4, სამსახურეობრივი ურთიერთობის გაგრძელების შესახებ-8, გათავისუფლების შესახებ-3, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ-2,გადაყვანის შესახებ-0, პროფესიული პრაქტიკის გავლის შესახებ-2, საგარანტიო წერილის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ-23, სამედიცინო დაფინანსებისა და ოპერაციის შესახებ-182, ერთჯერადი ფულადი დახმარება -578,ბინის ქირით დახმარება-15, სტიქიით დაზარალებულთა შესახებ-0, სარეზერვო -0, რეზერვში ჩარიცხვა-6, სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა-6, პრივატიზაცია-3, მიწის ნაკვეთის შესახებ-0, უძრავი ქონების დარეგისტრირება-1, მშენებლობის ნებართვა-19, მიწის პირობების გამოყენება-23, მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება -8, ექსპლოატაციაში მიღება -7,პროექტის შეთანხმება-6, ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ -79, საპატიო წოდების მინიჭების შესახებ -0, მთის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის შესახებ -6, დაჯარიმების შესახებ-13, დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნის შესახებ-0, დაჯილდოების შესახებ-0,დემონტაჟის შესახებ-1,წახალისების შესახებ-0,პირგასამტეხლოს შესახებ-1,ელექტრონული აუქციონის შესახებ-0, პატივგების კომისიის შესახებ-0, გარე ვაჭრობის შესახებ-0,ფართის იჯარით გადაცემა-0,პროდუქტების გადაცემა-0,საკლასო ჩინის შესახებ-0, საქმისწარმოების დოკუმენტების შესახებ-0,სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების შესახებ-1,ბენეფიციარების შესახებ-0,ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ-0, კორონავირუსის შესახებ-0,განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ-0,ოქმის ბათილად ცნობის შესახებ-0,კლასებისა და საკლასო ჩინის შესახებ-1,შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ-0,ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შესახებ-0, გაწვევის შესახებ-1, ხარვეზის გასწორების შესახებ-0,გრანტის ბრძანების შესახებ-0,რეკონსტრუქციის შესახებ-0,შენობა-ნაგებობის ჩამოწერის შესახებ-2,ძალადობის მსხვერპლის შესახებ-0,გარე განათების ბოძების შესახებ-0,სამართალდარღვევის ოქმის შესახებ-0, ტრანსპორტის შესახებ-0, უძრავი ქონების შესახებ-3,შინ მოვლის პროგრამის შესახებ-0,სარგებლობის გაუქმების შესახებ-0,შიდა აუდიტის გეგმის შესახებ -1,ას წელს გადაცილებული-1,ხანძრით დაზარალებული-0, პროდუქტების გადაცემის შესახებ-0,ფართის გადაცემის შესახებ-0 სხვა დანარჩენი-62. ნორმატიული აქტები მომზადდა შესაბამისი სამსახურების მიერ.

2022 წლის პირველ კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა-6 წერილი და განცხადება. წერილები და განცხადებები დაკმაყოფილდა დადებითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმისა და შესაბამისი გასაჩივრების ფაქტებს ადგილი არ ქონია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები შემდეგი ხასიათისაა:

შვებულების შესახებ -2, მივლინების შესახებ -0, სამსახურში დანიშვნის შესახებ -12,გათავისუფლების შესახებ -0, სამხედრო აღრიცხვაზე გადავადების შესახე -40 პრივატიზების შესახებ -2,ბინის სახურავის შესახებ, გაზის, წყალის, გზისა და გარე განათების შესახებ -42, ბინის ქირის შესახებ -61, მშენებლობის ნებართვის შესახებ -26, მიწის პირობების გამოყენების შესახებ 1, ექსპლოატაციაში მიღების შესახებ -6, პროექტის შეთანხმების შესახებ-0, ვადის გაგრძელების შესახებ-10, პროექტში ცვლილების შესახებ-0,მკურნალობა-ოპერაცია -344, ერთჯერადი ფულადი დახმარების შესახებ -1019, შეშით დახმარების შესახებ-20,მიწის ნაკვეთის გაყოფა-გაერთიანება-67, მედიკამენტებით დახმარების შესახებ -0, კოლექტიური განცხადება -0, სტიქიის შესახებ -63 , მაღალმთიანი სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის შესახებ-11, პრობლემების შესახებ -1, საავადმყოფო ფურცლის შესახებ-0, საავადმყოფო ფურცლის გაგრძელება-1,სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების შესახებ -0, საგარანტიო წერილის გაუქმების შესახე-13,სტიქია-59, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ -0,ხელშეკრულებით აყვანის შესახებ-0,ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ-0, ხანძრის დაზიანებით-0,საჯარო ინფორმაციის შესახებ-6, საცხოვრებელი ფართის შესახებ-0,უმწეოთა სასადილოში მოწყობის შესახებ-4, დემონტაჟის შესახებ-0,ეკლესია-მონასტრების შესახებ-0,სპორტული მოედნების შესახებ-0,ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ-1, იჯარის შესახებ-2,წითელი ზოლის შესახებ-1, ბრძანებაში ცვლილების შესახებ-1,დაჯარიმების შესახებ-0,სარეზერვო-0, აზრის შესახებ-1,წიაღისეულის შესახებ-0, მზა ბეტონის შესახებ-0,გეოლოგიური დასკვნის შესახებ-1,ბარიერის შესახებ-0,აუქციონის შესახებ-6,ექსპერტიზის დასკვნის შესახებ-0,სასაფლაოს შესახებ-1,ხელფასის შესახებ-0. მგლების შესახებ-0,სახლის სახურავის შესახებ-12,შინმოვლის პროგრამით-1,პირგასამტეხლოს შესახებ-0,კარსტული ზონის შესახებ-0, ატრაქციონის შესახებ-1, ტრენაჟორების შესახებ-0, სადაო მიწის ნაკვეთის შესახებ-0, მოსაცდელების შესახებ-0,ბინის შესახებ-0, მეზობლური დავის შესახებ-1, თავშესაფრის შესახებ-0,კობიდინფიცირებულთა ხარჯების შესახებ- 0, საძოვრების შესახებ-0,კოლექტიური-6, სახლის რეკონსტრუქციის შესახებ-2,საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ-0, განცხადების განუხილველად დატიოვების შესახებ-0,მიწის ნაკვეთის შესყიდვისა და იჯარისშესახებ-1,ნაგვის ბუნკერების შესახებ-2,სწავლის დაფინანსება-0,დაზიანებული სახლის შესახებ-0, ას წელს გადაცილებულის შესახებ-0,ბავშვზე ძალადობის შესახებ-0, მრიცხველის შესახებ--0,სარწყავი არხის შესახებ-0,კომისიის გამოყოფის შესახებ-0,სააღდგომო ნობათის შესახებ-0, მიწის პრივატიზაციის შესახებ-1,სკვერის მოწყობის შესახებ-2,ტრანსპორტირების შესახებ-0,სარჩელის შესახებ-0,მინი სტადიონის შესახებ-0,პრობლემების შესახებ-0, მიწის ნაკვეთის დატბორვის შესახებ-0,ბინის რეაბილიტაციის შესახებ-, გენგეგმის შესახებ-0, მეწყერის შესახებ-0, შუამდგომლობის შესახებ-4,გრანტის შესახებ-0, დაზიანებული ბოძის შესახებ-3, ელ- აუქციონის შესახებ-1,მემორიალური დაფის შესახებ-1,სადარბაზოს შეკეთების შესახებ-1,პრაქტიკის გავლის შესახე-1,სატბორე მეურნეობის შესახებ-1 ,სხვა დანარჩენი -71.

განყოფილების მუშაკები განვლილ პერიოდში მუშაობდნენ msd-ას პროგრამაში, ასევე კონტროლზე ყავთ აყვანილი ელ.ფოსტაზე მიღებული მასალები. საქმისწარმოების მუშაკები, ცოდნას, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ განყოფილების წარმატებული მუშაობისათვის.

**იურიდიულ საკითხთა განყოფილების მიერ 2022 წლის**

**პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიში**

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ იურიდიულ საკითხთა განყოფილების 2022 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიშს:

1. უზრუნველყოფილ იქნა 20 მერის ბრძანების პროექტის მომზადება:

1.1. ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებრივი მსუბუქი ავტომანქანების გადანაწილების, სამორიგეო ავტომობილების რაოდენობის განსაზღვრისა და გამოყენების შესახებ “ მერის ბრძანების პროექტი; აღნიშნული ცვლილებით ერთი წევრი დაემატა კომისიის შემადგენლობას;

1.2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული სამორიგეო ავტომობილების გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.3წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებისას, სახელმწიფო აუდიტის ჯგუფთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ “ მერის ბრძანების პროექტი;

1.4 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ “ მერის ბრძანების პროექტი;

1.5 ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ტენდერის ფორმით შესყიდვების განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 15 ნოემბრის N 31 1707 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ “ მერის ბრძანების პროექტი;

1.6,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ტენდერის ფორმით შესყიდვების განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 15 ნოემბრის N 31 1707 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.7 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურში თანამშრომელთა ჯგუფის შექმნის შესახებ “ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 დეკემბრის №31 3759 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.8 პირის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნისა და კომისიის მდივნის დანიშვნის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.9 ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებში მონაწილე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.10
,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2022 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.11 ,,არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ( იზოლირებული და არაიზოლი რებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის გა ნხორციელების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წ ლის 20 ნოემბრის N 31 3537 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.12
,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის გან ხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში თანამშრომელთა ჯგუფის შექმნის შესახებ “ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 დეკემბრის N 31
3899 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.13 ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული - სოფელ გუმბრაში მდებარე, 5943კვ.მ არასასოფლო-
სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობა - ნაგებობის (ს/კ 29.09.38.274.
) ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.14 ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კე თილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახ ებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 18 თებერვლის N 31
601 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.15
,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებულ თვითნებურად დაკავებ ულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.16 ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებუ ლი (ბალანსზე რიცხული) ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის მიზნით კომისი ის შექმნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 17 იანვრის N
48.48220172 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.17 ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს ,, ნოელან“-
ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2022 წლის 14 იანვრის №09 ხელშეკრულე ბის შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.18
,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული - სოფ.გუმბრაში მდებარე 1730.00კვ.მ არასას ოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობების N1, N2
(ს/კ 29.09.33.059) ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.19
,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელებ ის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.20 ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამ ტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 01 დეკემბრის №31
1782 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

**2**. უზრუნველყოფილ იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 3 დადგენილების პროექ ტის მომზადება და გაგზავნა საკრებულოში:

2.1.
,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირ თა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტ უბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2.2
,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ '' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2.3 ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებ ლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხან აგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №30 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. უზრუნველყოფილ იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 1 განკარგულების პროექ ტის მომზადება და გაგზავნა საკრებულოში:

3.1 ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და ,,ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის დაწესების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**4.** უზრუნველყოფილ იქნა 6 სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება:

4.1 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და თორნიკე ჯიქიას შორის არსებული დავის 1 სასამა რთლო პროცესზე მონაწილეობის მიღება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

4.2 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,, გზამშენი 2017“ შორის არსებული დავის 1 სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღება ქუთაისის სააპელა ციო სასამართლოში.

4.3 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ციცინო ნემსაძის შორის არსებული დავის 2 სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღება ქუთაისის საქა ლაქო სასამართლოში.

4.4 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,, ლამოდერნას“ შორის არსებული დავის სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღება წყალტუბო ს მაგისტრატ სასამართლოში.

4.5 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა ლია დევდარიანს შორის არსებული დავის სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღება ქუთაისის სა ქალაქო სასამართლოში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დასრულდა თორნიკე ჯიქიას საქმე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 21 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების თანახმად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დასრულდა შპს აკვედუკის საქმის განხილვა და მერიის სასრგებლოდ დაეკისრა 50007.92 ლარის გადახდა.

5 . მომზადდა საკასაციო საჩივარი დავით ფრუიძის საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი წესით გაიგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასასამართლოში.

6. მომზადდა საპელაციო შესაგებელი ნიკოლოზ ქართველიშვილი საქმესთან დაკავშირებით და გაიგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

7. უზრუნველყოფილი იქნა სამსახურების მიერ მომზადებული 400 დოკუმენტის სამართლებრივი ექსპერტიზა.

8. უზრუნველყოფილი იქნა პირადი კორესპოდენციიდან 49 წერილის პასუხის მომზადება .

9.
. უზრუნველყოფილ იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის 10 სხდომაში მონა წილეობის მიღება.

10. ,,არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ( იზოლირებული და არაიზოლირ ებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის გან ხორციელების მიზნით კომისიის 3 სხდომაში მონაწილეობის მიღება.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ 2022 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიში:

1. საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში APPS.MSDA.GE-ში განყოფილებამ რეაგირება მოახდინა 200 განცხადებაზე;

2. მოვამზადეთ 1 განუსაზღვრელი ვადით, 1 გამოსაცდელი ვადით, 1 ა(ა)იპ- ის ხელმძღვანელად დანიშვნის და განთავისუფლების - 3 ბრძანებები; ასევე მომზადდა შრომითი ხელშეკრულება -2, 52 ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეთანხმება და 2 ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დანიშვნა.

3. მოვამზადეთ მივლინებისთვის საჭირო 15დოკუმენტი, შვებულების - 65, დეკრეტის 1 ბრძანება, საჯარო მოხელის სამსახურეობრივი უფლება მოსილების შეჩერების შესახებ -4, ბიულეტინის დახურვის -4 და საჯარო მოხელისათვის ფუნქციების დაკისრების - 6 ;

4. მოვამზადეთ კლასეის მინიჭების ბრძანება;

5. გავეცით 16 ცნობა;

6. ორგანიზება გაუწიეთ შეფასების გაცნობის ოქმის წარდგენას;

7. ორგანიზება გავუწიეთ კონკურსის გამოცხადებას, შესაბამისი ოქმების და ბრძანებების მომზადებას;

8. დავამტკიცეთ საკვალიფიკაციო მოთხოვნების ბრძანება;

9. განყოფილებამ უზრუნველყო სამუშაო პროგრამა - HRMS-ში განყოფილებაში წარმოებული მიმდინარე დოკუმენტაციის ყოველდღიურ რეჟიმში ასახვა;

10. მოვამზადეთ 2 სტაჟირების ბრძანება;

11. საჯარო სამსახურის ბიუროსთან მუდმივი კომუნიკაცია და შესაბამისი ცვლილებების შეთანხმება, შეტყობინება;

12. განყოფილებამ უზრუნველყო მოხელეთა პირადი საქმეების მოწესრიგება.

მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების

უფროსის მიერ 2022 წლის I კვარტალში შესრულებული

სამუშაოს ანგარიში

2021 წლის I კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყვიდვების სამსახურის, მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების მიერ

განხორციელდა მთელი რიგი სამუშაოებისა, რომლებმაც ხელი შეუწყო განყოფილების გამართულ ფუნქციონირებას.

განყოფილების უფროსის მიერ, მითითებულ პერიოდში განხილული იქნა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული 72 კორესპონდენცია, რომლებზედაც მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერის წერილის პროექტები.

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უფლების დამდგენ დოკუმენტსა და საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზს შორის იდენტურობის დადგენის კუთხით 2022 წლის მე-1 კვარტალში გაიმართა 1 ტრენინგ-სემინარი მერის წარმომადგენელთა და განყოფილების მოსამსახურეთა მიერ აღნიშნული საკითხის შესწავლისა და შემდგომში მითითებული საკითხის სამართლებრივად მოწესრიგებისა თუ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მიზნით.

,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად მერის ბრძანებით შექმნილ საბჭოში, მდივნისა და საბჭოს წევრის სტატუსით, 2022 წლის I კვარტალში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა 2 ფიზიკურ პირს.

„2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების“ პროგრამის ფარგლებში პროექტის „თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 1 ტრენინგი რეციკლირების საკითხებთან და 2 ტრენინგი წყალტუბოს გარემოსდაცვითი გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

**საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა**

**მართვის განყოფილების 2022 წლის პირველი კვარტლის**

**მუშაობის ანგარიში**

2022 წლის პირველ კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის, თვითმმართველობის საქმიანობის წარმოჩენის, მუნიციპალიტეტის მერიასა და საზოგადობას შორის აქტიური კომუნიკაციის დამყარებისა და კეთლგანწყობის მოპოვების მიზნით, დაიგეგმა და ჩატარდა შემდეგი შეხვედრები ღონისძიებები:

1 .ძველით ახალი წელი წყალტუბოში (ჯანელიძეების მარანში) სიუჟეტი გადაიცა საქართველოს I არხის ეთერით;

2. შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ვაქცინააცია საკითხთან დაკავშირებით- სიუჟეტი გავიდა ტელეკომპანია რუსთავი 2 -ში

3. ვაქცინაციის პროცესი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ტელეკომპანია იმედი )

4 მუნიციპალიტეტის მერის შეხვედრა უკრაინიდან საომარი მოქმედებების გამო ჩამოსულ მოქალაქეებთან. შეხვედრა გაშუქდა გავრცელდა სააგენტოებში (იმედინიუსი, აიპრესი, ფრონტნიუსი)

5. საანგარიშო პერიოდში განყოფილებამ უზრუნველყო 10- ზე მეტი სოციალური და კულტურული ღონისძიების დაგეგმვა და .მართვა.

6 სისტემატიურად ახლდებოდა და ახალი ინფორმაციები იტვირთებოდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდებზე: ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია'' და ,,გენადი ბალანჩივაძე -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი''.

5 . მომზადდა და პასუხი გაეცა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ 6 საჯარო ინფორმაციას;

6. მომზადდა და იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გაიგზავნა 7 მედია-გეგმა მუნიციპალიტეტის მერის შეხვედრებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

7. მომზადდა მუნიციპალიტეტის მერის სამი თვის ანგარიშის ტექსტი და დამუშავდა ფოტოები პრეზენტაციისთვის.

**შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის**

**განყოფილების 2022 წლის I კვარტალში შესრულებული**

**სამუშაოს ა ნ გ ა რ ი შ ი**

2022 წლის I კვარტალში განყოფილების მიერ შესრულდა შემდეგი სამუშაოები: 1. განყოფილების მიერ მომზადდა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა შემდეგი ტენდერების სატენდერო დოკუმენტაცია, ელექტრონული განაცხადი (სატენდერო პირობების შესახებ ელექტრონული კითხვარი), სატენდერო კომისიის სხვა დოკუმენტაცია: სულ გამოცხადდა 40 ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე), აქედან: ა) 20 ტენდერში (NAT220000726, NAT220000787, NAT220000989, NAT220001200, NAT220001220, NAT220001587, NAT220001596, NAT220001608, NAT220001992, NAT220002098, NAT220002099, NAT220002779, NAT220002781, NAT220002782, NAT220003160, NAT220003161, NAT220003163, NAT220003304, NAT220003373, NAT220004518) გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები და ტენდერს მიენიჭა სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“; ბ) 2 ტენდერში (NAT220004448, NAT220004133) გამარჯვებული პრეტენდენტი მოწვეულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დასადებად და ტენდერებს მინიჭებული აქვთ სტატუსი „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“; გ) 6 ტენდერში (NAT220003333, NAT220005404, NAT220005559,

NAT220005590, NAT220005910, NAT220005936) მიმდინარეობს პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების პროცედურები; დ) 4 ტენდერში (NAT220005908, NAT220005741, NAT220005449, NAT220005410) მონაწილეობა არ მიიღო არცერთმა პრეტენდენტმა და ტენდერს მიენიჭა სტატუსი „არ შედგა"; ე) 4 ტენდერში (NAT220005571, NAT220006158, NAT220006159, NAT220006160) წინადადებების მიღება დაწყებულია; ვ) 3 ტენდერს (NAT220005947, NAT220006066, NAT220006176) მინიჭებული აქვს სტატუსი „გამოცხადებულია"; ზ) 1 ტენდერი (NAT220003332) დასრულდა უარყოფითი შედეგით, რადგან ოთხივე ტენდერში მონაწილე თითოეულ პრეტენდენტს მიენიჭა დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო; 2. შემუშავდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 51 ხელშეკრულების (№1 - №58) პროექტი, აქედან 27 ხელშეკრულება გაფორმდა ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საფუძველზე, 10 ხელშეკრულება დაიდო კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე, ხოლო 21 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის ფორმით. 3. განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებული 20 ხელშეკრულების დარეგისტრირება და ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში (CMR მოდული). 4. განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულებების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამისი ტენდერების ველებში. 5. მომზადდა 21 შეთანხმების პროექტი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. 6. განხორციელდა ზემოთხსენებულ ტენდერებთან, აგრეთვე 2022 წლის 1-ელ იანვრამდე გამოცხადებულ მიმდინარე ტენდერებთან მიმართებით მომზადებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის 98 ოქმისა (№1 - №98) და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის და სატენდერო კომისიის აპარატის წევრთა მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ მომზადებული ინფორმაციის (67 ხელწერილის) ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აღნიშნული ტენდერების შესაბამის ველებში. 7. განხორციელდა შესაბამისი მოდულის (SMP მოდული) მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 3 მიმართვის გაგზავნა, კერძოდ: ა) SMP220000260 მიმართვა - ქალაქ წყალტუბოში: გ.ტაბიძის, 9 აპრილის, თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების დამაკავშირებელ მონაკვეთზე, გზაჯვარედინთან გამავალ სარკინიგზო ლიანდაგზე, საფეხმავლო და საავტომობილო გადასასვლელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 13 060 ლარი (დღგ-ს გარეშე), რომლის შესყიდვის საფუძველს წარმოადგენდა გადაუდებელი აუცილებლობა. აღნიშნულ მიმართვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მიღებულია თანხმობა და გამოგზავნილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 25 იანვრის №312 განკარგულება ზემოთხსენებული შესყიდვის ობიექტის გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე; ბ) SMP220000362 მიმართვა - ქალაქ წყალტუბოში: გ.ტაბიძის, 9 აპრილის, თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების დამაკავშირებელ მონაკვეთზე, გზაჯვარედინთან გამავალ სარკინიგზო ლიანდაგზე, საფეხმავლო და საავტომობილო გადასასვლელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (მიმართვა გაიგზავნა დღგ-ს თანხაზე - 2350.80 ლარზე), რომლის შესყიდვის საფუძველს წარმოადგენდა გადაუდებელი აუცილებლობა. აღნიშნულ მიმართვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მიღებულია თანხმობა და გამოგზავნილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 03 თებერვლის №433 განკარგულება ზემოთხსენებული შესყიდვის ობიექტის გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე; გ) SMP220000672 მიმართვა - შესყიდვის ობიექტი არის საფელდეგერო (სახელმწიფო მნიშვნელობის გზავნილის უსაფრთხოდ, დაცულად,

დაუზიანებლად და ოპერატიულად ადრესატისათვის მიწოდების) მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით 100 ლარი, რომლის შესყიდვის საფუძველს წარმოადგენდა ექსკლუზიური უფლებამოსილება. აღნიშნულ მიმართვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მიღებულია თანხმობა და გამოგზავნილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 09 მარტის №776 განკარგულება ზემოთხსენებული შესყიდვის ობიექტის გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე. 8. განხორციელდა 2018-20 წლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების ნაწილზე და 2021 წელს გაფორმებულ მიმდინარე ხელშეკრულებებზე ფაქტობრივი გადახდების ამსახველი ყველა დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტები, საგადახდო მოთხოვნები, ექსპერტიზის დასკვნები და ა.შ.) ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (www.spa.ge). აგრეთვე, განყოფილების მიერ მომზადდა და აიტვირთა აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებაში მონაწილე პირთა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ხელწერილები. 9. ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა ინფრასტრუქტურული და არაინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე გამოცხადებული ტენდერების შესახებ გუბერნიის მიერ Google Drive-ში ატვირთულ ცხრილებში მონაცემების შეყვანა/განახლება, კერძოდ შეყვანილია შემდეგი ტიპის ინფორმაცია: შესყიდვის ობიექტის დასახელება, განცხადების ნომერი, ტენდერის გამოცხადების და დასრულების თარიღი, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, შესყიდვის სტატუსი, პრეტენდენტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი. 10. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განხორციელდა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ მერის 2021 წლის 19 ნოემბრის №ბ48.482132316 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ბრძანების პროექტ(ებ)ის მომზადება (სულ 10 შესყიდვების გეგმის ცვლილება) და კორექტირებული მონაცემების შეყვანა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (ePLAN მოდულში ატვირთვა). 11. მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსახორციელებელი შესყიდვის პროცედურების სწორად დაგეგმვისა და ბაზარზე არსებული ღირებულებების დადგენის მიზნით ჩატარდა ბაზრის კვლევა არაერთ საქონელთან თუ მომსახურებასთან მიმართებით (მაგ.: დაცვის მომსახურება, საკანცელარიო ნივთები, კარტრიჯების შეძენა-დამუხტვა, კონვერტები, საფოსტო-საკურიერო მომსახურება, მანქანების ტექ. მომსახურება, აკინძვის მომსახურება, კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება და ა.შ.). 12. სახელმწიფო შესყიდვებთან და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შემოსულ კორესპონდენციებთან და ინიცირებებთან მიმართებით, კერძოდ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის („MSDA") მეშვეობით ჯამში შესრულდა 202 დავალება.

**საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2022 წლის I კვარტალში შესრულებული**

**სამუშაოს ა ნ გ ა რ ი შ ი**

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 20 116,3 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილიც განისაზღვრა 20 116,3 ათასი ლარით. აქედან დმატებული ღირებულების გადასახადმა შეადგინა 16 346,3 ათასი ლარი,

ქონების გადასახადმა შეადგინა 2 500.0 ლარი,

სხვა შემოსავლები განისაზღვრა 2 980,0 ათასი ლარით,

არა ფინანსური აქტივების კლება განისაზღვრა 100 ,0 ათასი ლარით.

მიზნობრივი ტრანსფერი განისაზღვრა 190 ,0 ათასი ლარით.

2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში 2022 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 3 754,8 ათასი ლოარით. აღნიშნული ზრდა განაპირობა დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმის ზრდამ.

მიმდინარე წლის I კვარტალში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით, რაც ძირითადად განპირობებული იყო რეგიონალური განვითარების ფონდიდან თანხის გამოყოფით, ბიუჯეტი გაიზარდა 11 499,8 ათასი ლარით და შეადგინა 31 616,1 ათასი ლარი.

2022 წლის I კვარტალში ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 5 231,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ხარჯმა შეადგინა 6536,1 ათასი ლარი.

აღსანიშნავია ,რომ ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელებიდან პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურის განვითარება - დახარჯულია 2 939,8 ათასი ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა დახარჯულია 297,0 ათასი ლარი;

განათლება -დახარჯულია 96,7 ათასი ლარი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი-ხარჯმა შეადგინა 720,6 ათასი ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა- 621,9 ათასი ლარი.

გარდა აღნიშნულისა განვლილ საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული იქნა ის ღონისძიებები რომელიც მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს პრიორიტეტულს.

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში 2022 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური მუნიციპალიტეტის 2020-2024 სამოქმედო გეგმის, 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული

სამუშაოების, შესაბამისი პროგრამებისა და ქვეპროგრამების საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით აქტიურ ღონისძიებებს ახორციელებდა მუნიციპალიტეტში საინჟინრო და სგაზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ( პროგრამული კოდი 02 01), გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების (ქვეპროგრამა 02 01 01) წყლის სისტემების განვითარების ( პროგრამა 02 02), სანიარვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციის ( ქვეპროგრამა 02 02 04), ტერიტორიების კეთილმოწყობის ( პროგრამა 02 06), საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობის, შენობა- ნაგებობების არქიტექტურული იერსახის, ფასადების (ქვეპროგრამა 02 06 02) გასაუმჯობესებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისათვის ( პროგრამული კოდი 02 05).

სამსახურს დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლზე ჰქონდა აყვანილი თითოეული პროექტის მითითებულ ვადებში დასრულებისა და მათი ხარისხობრივი შესრულების საკითხები.

**2022 წლის 1 კვარტალში** კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, მერის 2018 წლის 10 დეკემბრის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი მუშა- ჯგუფის მიერ განხორციელდა **2021 წელს დაწყებული გარდამავალი** ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიღება-ჩაბარებები შემდეგ მისამართებზე:

დასრულდა ქ. წყალტუბოში მე- 3 საჯარო სკოლის სახურავის ნაწილობრივი შეკეთების (სამუშაოების ღირებულება 4224 ლ ), ქ. წყალტუბოში სამხატვრო სკოლის შეკეთების (ღირებულება 12687 ლ), სოფლებში საჩხეურში , ლეხინდრისთავში, ჭაშლეთში, დღნორისაში, ბენთქოულასი, დერჩში, მექვენაში, ოფურჩხეთში, ჯიმასტაროში, გუმათში, სორმონში, რიონში, ზარათში, ნოღაში შიდა საავტომობილო გზების სტიქიის ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოები ( ღირებულება-48960 ლ), ქ. წყალტუბოშო ჭავჭავაძის ქ.№ 8 საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთების ( ღირებულება-34258 ლ), სოფ. გვიშტიბის საჯარო სკოლაში გათბობის ქვაბის მოწყობის ( ღირებულ-4285ლ ), გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის წყალტუბოში მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაციის ( ღირებულება - 64662 ლ), სოფ. ტყაჩირსა და ახალ საყულიაში გარე განათების ქსელის მოწყობის ( ღირებულება- 22477 ლ),სოფ. რიონში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის ( ღირებულება- 774421 ლ), სოფ. მუხიანში ქაჯარის უბანში და სოფ. საყულიაში მინი სპორტული მოედნის მოწყობის ( ღირებულება -112883 ლ),სოფ.

საყულიაში (სვანების დასახლება) მინი სპორტული მოედნის მოწყობის ( ღირებულება-92038 ლ) სამუშაოები.

**2021-2022 წლების** დაფინანსების ფარგლებში საანგარიში პერიოდში **დასრულდა** სოფ წყალტუბოს (მეორე უბანის და სოფელ ჩუნეშის დამაკავშირებელი გზის დარჩენილი ნაწილის რეაბილიტაციის, სოფ. წყალტუბოში მე-10 ქუჩის, სოფ. გვიშტიბში 35 ქუჩის და სკოლასთან მისასვლელი გზების, ასევე სოფ. გვიშტიბში ბეკნარას უბნის გაგრძელებაზე გზების რეაბილიტაციის (ღირებულ-1048999 **ლ)**, სოფლების პატრიკეთისა და გეგუთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის, ასევე ქ. წყალტუბოში გოგებაშვილის ქ 2 ბ საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ გზის რეაბილიტაციის (ღირებულება-248692 ლ), სოფ. მაღლაკში მე -8 და მე- 9 ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის (ღირებულება 477493 ლ), ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის, ასევე სოფ ჩუნესში ტაძართან მისასვლელი გზის ( ღირებულება-547975 ლ) რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში სოფლებში ცხუნკურში, წყალტუბოში, ქვილიშორში ხომულში, ქ. წყალტუბოში ცენტრალური საავტომობილო გზის, სოფ. გვიშტიბში, მეჩხერში, სორმონში, რიონში, ჭოლევში, ოფურჩხეთში, ნამოხვანში, დერჩში მაღლაკში, დღნორისაში ჭაშლეთში, საჩხეურში გრძელდებოდა გზების სტიქიის ნარჩებებისაგან გაწმენდის პირველი მეორე და მესამე ეტაპის სამუშაოები.

**,,განახლებული რეგიონების**" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში **მუნიციპალური განვითარების ფონდის** დაკვეთითა და დაფინანსებით ტაბიძის ქუჩაზე მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის, გზის გასწვრივ არსებული ტროტუარების და სივრცეების კეთილმოწყობის სამუშაოები. სანგარიშო პერიოდში განხორციელდა მარჯანიშვილის მოედნის რეაბილიტაციის, ტაბიძის ქუჩაზე სარკინიგზო გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები.

წყალტუბოს კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი სივრცეების გაფართოების, სანიტარულ - ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით **,,სამოქალაქო ბიუჯეტის" პროგრამის** ფარგლებში შეძენილია 36 ხის ძელ სკამი წარწერით ,, წყალტუბო" ( ღირებულ-17944 ლ) და ხის 50 ცალი სანაგვე ურნა. -11950 ლ, მიმდინარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის 222 ცალი ხის სანაგვე ურნის შესყიდვის პროცედურები( სახელს. ღირებულება 39073 ლ,რუსთაველის ქუჩაზე განხორციელდა საზოგადოებრივი სივრცის მოწყობისა და ხეების დარგვის, მათი მოვლა-გადაბელვის სამუშაოები - -ღირებულება -61766 ლ.

მიმდინარეობს ქ. წყალტუბოში,"ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სანიტარული წერტილების მოწყობის სამუშაოები ( სახელშეკრულებო ღირებულება 92294 ლ),მერიის ადმინისტრაციული შენობის მცირე შიდა სარემონტო სამუშაოები და შენობაში არსებული საპირფარეშოების შეკეთების სამუშაოები ( სახელშეკრულებო ღირებულება 9492ლ,).

**"სამოქალაქო ბიუჯეტის"** ფარგლებში შესყიდულია მოსახლეობის მიერ წარდგენილი საპროექტო ინიციატივის გათვალისწინებით საქართველოს რუკის კონტურის ფორმის ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით).

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა სხვადასხვა მიმართულების 17 ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ქ. წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა N16-ის მე-3 სადარბაზოს, აკ. შანიძის ქუჩა N9 ბინის, გ.ტაბიძის ქუჩა N3ა-ს პირველი სადარბაზოს სახურავის შეკეთების სამუშაოების, ასევე ჩოლოყაშვილის ქუჩა N1-ის მეორე სადარბაზოს სახურავის შეკეთებისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები ( სახელშეკრულებო ღირებულება 55397 ლ, ქალაქ წყალტუბოში, აკ. შანიძის ქუჩა №4 ბინის სახურავის შეკეთების სამუშაოები 53770 ლ.ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძის ქუჩა N13 ბინის სახურავის შეკეთების სამუშაოები-( ღირებულება 41290 ლ),სოფელ რიონის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები-(ღირებულებაც17498ლ), ქალაქ წყალტუბოში, დედაენის ქუჩა №34 ბინის მე-2 სადარბაზოს სახურავის შეკეთების სამუშაოები ( ღირებულება11798 ლარი).

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა და მ/წლის ბოლომდე გაგრძელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები- (სახელშეკრულებო ღირებულება 95940 ლ),

**დელეგირებული უფლებამისილების ფარგლებში** მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი დაფინანსებით შპს ,,მარმენიოს" 2021 წლის დეკემბრის თვეში გაწეული მომსახურებისათვის 2022 წლის იანვარში ჩაერიცხა - 40452 ლარი, 2022 წლის იანვარში გაწეული მომსახურეისათვის - 20892 ლარი, თებერვალში გაწეული მომსახურებისათვის - 30070 ლარი.

რგფ - მა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2022 წლის პირველ კვარტალში 8 მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყო 4878916 ლარი.გამოყოფილი თანხიდან მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსების პროცენტული წილი შეადგენს 5%-ს.

გაფორმებულია ხელშეკრულებები და სამუშაოები განხორციელდება სოფელ ბანოჯაში ბარბარეწმინდას უბანში ( ღირებულება 823124 ლ), ასევე მე-2, მე-6, 21-ე, 22-ე და 26-ე ქუჩებზე (ღირებულება- 823124 ლ), სოფელ გეგუთში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ( ღირებულება- 435933 ლ), სოფელ ტყაჩირში აშვეთიების უბანში ( ღირებულება -247958 ლ), სოფელ საყულიაში ( ღირერბულება- 618029 ლ) სოფელ ნოღა-ქუთაისის დამაკავშირებელ გზაებზე ( 2485197 ლ), სოფ.მაღლაკში №5, №7, №8, №9, №10 ქუჩებზე , ასევე ჩეჩელაშვილების უბანში ( ღირებულება -

1648184 ლ), სოფელ უკანეთში ( ღირებულება 384755 ლ) და სოფელ რიონში მამრიკიშვილების უბანში ტაძართან მისასვლელ გზებზე ( ღირებულება - 360780 ლ).

სულ 2022 წელს მუნიციპალიტეტში რგფ-ის დაფინანსებით დაგეგმილია 22 მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, რომელთა ჯამური მოცულობა 10 მლნ. ლარს აღემატება.

,, სოფლის მხარდაჭერის " 2022 წლის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 704 000 ლარი. მუნიციპალიტეტის ყველს სოფელში მ/ წლის თებერვალში ჩატარდა მოსახლეობის კრებები. მათი აქტიური მონაწილეობით, თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში შერჩეული იქნა 59 პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, მზა ბეტონის და სასმელი წყლის მილების შეძენის , სპორტული მოედნების მოწყობის, სკვერების რეაბილიტაციის, საბავშვო- გასართობი ატრაქციონების, გარე განათების ქსელების, ღვარსადენი არხების მოწყობის სამუშაოებს. შედგენილია განსახორციელებელი სამუშაოების კონკრეტული ნუსხა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაო:

მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე არაპრივატიზებული საცხოვრებელი და

არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის განხორციელების მიზნით 6 მოქალაქეს გადაეცა ფართობი საკუთრებაში და გაიცა შესაბამისი საკუთრების მოწმობები.

სახელმწიფოდან გადმოცემული იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე 36203 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 29.10.33.501), რომელიც ესაჭიროებოდა მუნიციპალიტეტს სასაფლაოს მოსაწყობად).

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს'' გადაეცათ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხიდრისთავში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ბიბლიოთეკის შენობა, ს/კ 29.02.31.031 და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთში მდებარე უძრავი ქონება ს/კ 29.02.31.031 კლუბის სენობა.

ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს'' სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩას N 25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 215.0 კვ.მ ფართი ს/კ 29.08.34.014.01.508, ასევე გადაეცათ მოძრავი ქონებები.

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და მოთხოვნის საფუძველზე შპს ,,მაგთიკომს', ს/ს ,,სილქნეტს'', სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის უფლებით გადაეცათ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობები-გარე განათების ბოძები, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის-ინტერნეტის გატარებისთვის მოსახლოებისმომსახურების მიზნით.

ელექტრონული აქუციონის ფორმით პრივატიზებულ იქნა 4 ერთეული ქონება, ბიუჯეტში შესულმა თანხამ პრივატიზების შედეგად შეადგინა 48 961ლარმა.

შენობა-ნაგებობების იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 22 603 ლარი, ხოლო მიწის იჯარიდან- 4184 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია 37 მუნიციპალიტეტიდან ოთხ მუნიციპალიტეტთან ერთად შერჩეულ იქნა ინოვაციების პროექტის განსახორციელებლად ურბანული წარმოსახვის შესახებ პროექტში. სწავლების დასრულების შემდგომ მუნიციპალიტეტი მიიღებს გრანტს 60 000 ევროს.

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის I კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური წარმართავს საქმიანობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის შემდგომი განვითარებისათვის.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით 2022 წლის I კვარტალში კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები,

კულტურული ღონისძიებების ფარგლებში:

- 2 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით წყალტუბოს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მოეწყო საახალწლო ღონისძიებები:
  საახალწლოდ გაფორმებულ ჯიხურებში ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით გაიმართა საშობაო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა; მოეწყო საბავშვო გასართობი სივრცეები; განთავსდა ფოტო გადასაღები სტენდები; საზეიმო მსვლელობაში მონაწილეობდნენ ანიმატორები.

  თოვლის ბაბუას საჩუქრებმა პატარები განსაკუთრებით გაახარა.

  მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ ფოლკლორული ანსამბლი ,,ნადური''და საბავშვო საესტრადო ჯგუფები „ცისარტყელა“ და „ოცნება“.

  ღონისძიება კოვიდ რეგულაციების დაცვით მიმდინარეობდა და საზეიმო კონცერტით და ფოიერვერკით დასრულდა.

- წყალტუბოში აღინიშნა ქალთა საერთაშორისო დღე. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა თვითმმართველობამ 3 მარტს დედის დღე მიულოცა 2008 წლის ომში დაღუპულთა დედებს.

  8 მარტს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო შეხვედრა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების'' თანამშრომელ ქალბატონებთან. მათ თვითმმართველობის პირველმა პირებმა სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

- 22 მარტს მსოფლიო წყლის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

  21-22 მარტს წყალტუბოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურებმა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილებამ, ერთობლივი ორ დღიანი გაცვლითი ღონისძიებების ორგანიზება უზრუნველყო.

  21 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს და ა(ა)იპ ,,წყალტუბო მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრთან“ არსებული ეკოლოგიის წრის ხელმძღვანელს ცირა ბერიკაშვილს ბაღდათის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა. წყალტუბოელმა ახალგაზრდებმა ,,წყალტუბოს ისტორია“ „კარსტული მღვიმეები“ და „უნიკალური, სამკურნალო თვისებების თერმული წყალი“ პრეზენტაციის ფორმატში წარმოადგინეს.

  ოფიციალური შეხვედრის შემდეგ ახალგაზრდები კურორტ საირმეს ეწვივნენ. დაათვალიერეს სპა ცენტრი, საკურორტო პოლიკლინიკა და 4 ტიპის ბიუვიტის წყალი დააგემოვნეს. ასევე იმყოფებოდნენ ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში.

  22 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს. ვიზიტის ფარგლებში მათ „პრომეთე“ და ,,თეთრა“ მღვიმე მოინახულეს, ასევე

დაათვალიერეს წყალტუბოს წყარო N6 და გიორგი ახლვლედიანის სახელობის წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

წყალტუბოს ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების შემდეგ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში გაიმართა ოფიციალური შეხვედრა დაჯილდოვება, წყალტუბოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, სადაც ისაუბრეს წყალტუბოსა და საირმეს სამკურნალო წყლების მნიშვნელობასა და თვისებებზე.

სპორტული ღონისძიებების ფარგლებში:

- ქ. ზესტაფონში საქართველოს ჩემპიონატზე ასპარეზობდა წყალტუბოს საფეხბურთო გუნდი „სამგურალი" ამასთან დაკავშირებით განათლების სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დაფინანსებით მოხდა წყალტუბოელი გულშემატკივრების სატრანსპორტო მომსახურეობა.

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ

2021 წლის ნოემბრის თვიდან 2022 წლის მარტის მდგომარეობით გენდერული პოლიტიკისა და თანასწორობის მდგომარეობის მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა რაოდენობა გენდერული სტატისტიკით:

   სულ დასაქმებულია: 142, მათ შორის ქალი - 65, კაცი 77.

   მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე (სამსახურის და განყოფილების უფროსები) ქალი-13, კაცი-7.

2. ნოემბრის თვეში მუნიციპალიტეტის მერი მიწვეული იყო ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ, ადამიანის უფლებების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, სადაც მოხდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაციის წარდგენა, ვინაიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ გაიმარჯვა კონკურსში როგორც საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტი და დაჯილდოვდა პრიზით.

3. ნოემბრის თვეში მერიის ორგანიზებით განხორციელდა პარლამენტის წევრ ნინო წილოსანის შეხვედრა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მეწარმე ქალებთან, რომლის მიზანი იყო ის რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციების ხ ელშეწყობით, მათ ჰქონოდათ ინფორმაციები ყველა იმ სახელმწიფო პროგრამის თაობაზე, რომლის ფარგლებში შეუძლიათ გრანტის მიღება და საკუთრი ბიზნესის შექმნა, ასევე მოისმინეს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და გამოწვევები.

4. ნოემბრის თვეში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაიგეგმა აქტივობა ძალადობის წინააღმდეგ, ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციისთვის სლოგანით „შევაჩეროთ ქალთა მიმართ ძალადობა“ „მშვიდობა შინ მშვიდობა გარეთ“.

5. ნოემბრის თვეში ასევე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები შეუერთდნენ წყალტუბოს ახალგაზრდული საკრებულოს მიერ, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დაგეგმილ აქტივობას.

6. დეკემბრის თვეში წყალტუბოში მერიის ორგანიზებით, მეწარმე ქალთა საახალწლო გამოფენა - ბაზრობა მოეწ ყო. სადაც გამოფენილი იყო შემოქმედ ქალთა ორიგინალური და განსხვავებული ხელნაკეთი ნივთ ები, სადღესასწაულო დეკორაცია და აქსესუარები, რაც ხელს უწყობს ქალთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

7. დეკემბრის თვეში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მარტოხელა დედებთან, ახალი წლის დღესასწაულთ ან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრა, მიეწოდათ ინფორმაციები მათთვის საჭირო საკითხებზე და გადეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

8. იანვრის თვეში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით შობის ბრწყინვარე დღესასწაული მიულოცეთ მრვალშვილიან დედებსა და ოჯახებს, ეს უდიდესი სამსახურია როგორც საკუთარი თავის ისე ერის წინაშე. დედობა გმირობაა ეს სადავო არ არის.

9. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით 100 წლის ელენე ლანჩავას იუბილე მიულოცეს და სოციალური პროგრამით გათვალისწინებული 1000 ლარი ჩაერიცხა.

10. 3 მარტის დედის დღესათან დაკავშირებით 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების დედებს დედის დღე მიულოცეთ. ძნელია მათი ხვედრი და დიდი პასუხისმგებლობაა იყო გმირის დედა და ოჯახის წევრი.

11. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი მიულოცეს ა(აიპ) კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებაში დასაქმებულ ქალებს, გადაეცათ
საჩუქრები. უდიდესია ყველა პროფესიის ქალის როლი და დანიშნულება ჩვენი ქალაქისა და საზ ოგადოების წინაშე.

12. მუნიციპალიტეტის თემებში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამებით პროექტების შერჩევა განხორციელდა, რაც გენდერული პოლიტიკის გატარების ახალ შესაძლებლობას იძლევა. ქალთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გავზარდოთ ქალთა თანამონაწილეობა დასახლებებში საერთო კრებების გამართვის და კონსულტაციების ჩატარების დროს. პრიორიტეტად მივიჩნიეთ ის რომ სხდომის ოქმში დაფიქსირდეს, დასახლებაში რეგისტრირებულ დამსწრე ამომრჩევლიდან რამდენი ესწრებოდა ქალი და რამდენი მამაკაცი. რათა ქალთა და მამაკაცთა საჭიროებები და მოსაზრებები გათვალისწინებული ყოფილიყო თანაბრად.

13. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით ხდება განსაკუთრებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, წყალტუბოს მეორე საჯარო სკოლის, მეექვსე კლასის მოსწავლეს ლუკა ვიდანოვის დახმარება, რომელიც საჭიროებებ ზე გათვლილი იქნება და მთელი წლის განმავლობაში გაეწევა. რათა მან თავი იგრძნოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

14. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით იგეგმება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მეწარმეობის განვითარების პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა, პროგრამის ერთერთი მიზანი არის: ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა.

საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების

პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად მუშაობს გენდერული პოლიტიკისა და გენდერული თანასწორობის მექანიზმის გაძლიერების მიმართულებით.